№ 249

ხუთშაბათი, 24 ნოემბერი 1894

1877--1894

# ივერია

№ 249

ხუთშაბათი, 24 ნოემბერი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

## „ივერია“

გამოვა 1895 წელსაც

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

**ტფილისი,**

**„ივერიის“ რედაქციას**

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

## უმაღლესი მანიფესტი.

**წყალობითა ღვთისათა**

**ჩვენ, ნიკოლოოზ მეორე,**

**იმპერატორი და თვით-მპყრობელი**

**სრულიად რუსეთისა**

მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა

და სხვათა, და სხვათა, და სხვათა

**ვუცხადებთ ყველა ჩვენთა ერთგულთა ქვეშევრდომთა:**

მისდევთ რა ჩვენთა გვირგვინოსან წინაპართა აღთქმათა, კეთილად მივიჩნიეთ დღესასწაული ქორწინებისა ჩვენისა ჩინებულ ვყოთ მოწყალებისა და სიყვარულის საქმითა.

I. ვზრუნავთ რა განსაკუთრებით მიწად-მოქმედების აწინდელ არა კეთილ-საიმედო მდგომარეობით, რომელიც შეძლებასა არსებობისას აძლევს იმპერიის მკვიდრთა უმეტესს რიცხვს, და გვახსოვს რა წმიდა სურვილი ჩვენგან უფლის მიერ გაწვეულისა საყვარელისა მშობლისა ჩვენისა, ვბრძანებთ:

1) შემცირებულ იქმნას, ამა წლის ნოემბრის ვადიდგან, სახელმწიფო სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკიდგან გატანილ სესხთა თანხის სამატი სარგებელი $4^1/_2{}^0/_0$-დგან ოთხამდე წელიწადში.

2) შემცირებულ იქმნას 1895 წლის იანვრის ვადიდგან წლიური შესატანი იმავე ბანკის განსაკუთრებულ განყოფილების მსესხებელთა: ოქროთი ნაანგარიშევ სესხისა—1887 წლის პირველ ივლისისათვის დადგენილ იმათის ვალის ყოველ ასს ოქროს მანეთზედ ერთი მანათი, ხოლო ქაღალდის ფულით ნაანგარიშევ სესხისა—ნახევარ პროცენტი იმათის თავნ ვალიდგან.

3) სათავად-აზნაურო ბანკის განსაკუთრებულ განყოფილების ოქროთი ნაანგარიშევ ვალის გარდახდა, სხვა, აწ მოქმედ კანონ-დებულების მიერ აღნიშნულ საშუალებათა გარდა (სახელმწ. სათავად-აზნ. ბანკის წესდებ., პირველ მუხ. დამატ. მე-10 მუხ. მეორე სხოლიო, პპ. 1, 2 და 3), შესაძლებელი იქმნას იმ ფულის შეტანით, რომელიც შესდგება სესხის ვადამდე დაშთენილ ყოველ წლიურ შესატანის გათანხებით, წლიურად რომ ოთხი პროცენტი იყოს ნაანგარიშევი.

4) იმ ვალის გამო, რომელიც აღებულია სესხად სურსათისათვის და მინდვრების სათესლედ, შემდეგი შემსუბუქებანი მიეცეთ:

ა) სრულიად ეპატიოს სესხი, რომელიც უნდა გარდიხდეთ ხაზინისა და საზოგადო საიმპერიო სასურსათო თანხის სასარგებლოდ და რომელიც გაცემულია ამა თანხის 1866 წ. შედგენამდე, და აგრეთვე ვალი ციმბირის სათავდარიგო პურის თანხისა.

ბ) ეპატიოს ნახევარი ამა დღისათვის გარდუხდელად დარჩენილ იმპერიის საზოგადო სასურსათო თანხისა და ხაზინიდგან აღებულის სესხისა, რომელიც 1866 წ. შემდეგ არის გაცემული.

გ) ეპატიოს ნახევარივე ამა დღისათვის გარდუხდელად დარჩენილ სესხისა, რომელიც გაცემულია, 1891 და 1892 წწ. მოუსავლიანობისა გამო, იმპერიის საზოგადო სასურსათო თანხიდგან, გუბერნიისა და საზოგადოების სასურსათო თანხებიდგან იმ გუბერნიებში, რომელიც მოხსენებულია 1893 წლის 20 ივნისის და 1894 წლის 8 აპრილის ბრძანებანში, და აგრეთვე ყაზახთა ჯარის თანხებიდგან გაცემულიცა.

5) ამის დამოუკიდებლად შეუმსუბუქდეს ეს ვალი, რომელიც მოხსენებულია ამა მუხლის 1-ლ ვალების ბ-ისა და გ-ის მე-4 პუნქტში, მკვიდრთა უფრო გაჭივრებულს ნაწილს, იმ რაოდენობით, რა რაოდენობაც შესაძლებელი იქნება დანახული ფინანსთა მინისტრის ჯეროვან სამინისტროებთან მორიგების შემდეგ.

6) იმ ფულით, რომელიც ხაზინაში უნდა შემოვიდეს მინდვრების სათესლე და სურსათის სესხის ვალის გარდასახდელად, ამა I მუხ. მე-4 და მეხუთე პუნქტ. აღნიშნულ პატიებისა გამო, შევსებულ იქმნას ნაწილი სურსათის თანხიდგან აღებულ სესხისა: იმპერიის საზოგადო, გუბერნიისა, საზოგადოებათა და აგრეთვე ყაზახთა ჯარის თანხებისა, იმ ფულთა გარდა, რომელიც ეკუთვნება იმპერიის საზოგადო სურსათის თანხას 1866 წლამდე გაცემულ სესხისა, ნახევრად შესაკრებელისა.

7) ამა წლის შემოდგომის ვადებიდგანვე შემცირდეს თანხის სამატი სარგებელი, რომელსაც უხდიან მსესხებელნი საგლეხო საადგილ-მამულო ბანკებს, ამა ბანკიდგან აღებულს სესხში, წლიურად, ერთის მანეთით ყოველ ას მანეთზედ ვალის პირველდაწყებით ჯამიდგან.

8) რათა შეძლება მიეცეს საგლეხო საადგილ-მამულო ბანკს იმ წესების საფუძველით, რომელიც ამ საგნის შესახებ უნდა იყოს გამოცემული, გლეხთა წოდების უმრავლესობას დახმარება აღმოუჩინოს მიწების შესაძენად, ყოველ წლივ, 1895 წლიდგან დაწყებული, ამა ბანკის თანხას მიემატოს გლეხთაგან შემოსულ მათდა მიზომილ მიწის გარდასახდელ („ნადელის“) ფულის რაოდენიმე ნაწილი ამ ანგარიშით: ერთი პროცენტი იმ ფულიდგან, რამდენიც შემოვა ამ გარდასახადისა, თუ ეს ფული გაწერილის ცხრა მეათედს არ აღემატება; ამას გარდა ერთი მესამედი გაწერილ ფულის დანარჩენ მეათე ნაწილიდგან, ხოლო თუ შემოსული ფული აღემატება გაწერილს, ამ აღმატებულის ნახევარიც. ეს ფული იმ დრომდე მიემატოს თანხას ბანკისას, ვიდრე ეს თანხა ორმოც-და-ათ მილიონ მანეთამდე არ შესრულდება.

9) ეპატიოს ხაზინის მიწების, იჯარით გასაქირავებელ მიწებისა და სათევზო სამრეწველოებისა, ხოლო კასპიის ზღვის სანაპიროების სამრეწველო ქარხნების გასამართ მიწების (1893 წ. გამოც. სასოფ. მეურნ. წესდების მე-494 მუხ. (მე-2 სხოლიო) დამატ.) მოიჯარადრეებს საიჯარადრო ფული, რომელიც უნდა შემოეტანათ 1893 წ. პირველ იანვრამდე, მაგრამ არ გარდახდენიათ, თითოეულს 600 მანეთზედ არა უმეტესი, ხოლო თუ ხსენებული მამული, იჯარით გასაქირავებელი მიწა, სამრეწველო ანუ ნაწილი მიწისა გლეხთა და მკვიდრ მცხოვრებელთა საზოგადოებათა აქვთ იჯარით აღებული, თითო მეურნეს ას-ასი მან. ეპატიოს.

10) ეპატიოს აქამდე გამოურთმეველი ზარალი, ვალად დაკისრებული ფული და ჯარიმა, თუ იმიტომა აქვთ შეწერილი, რომ ხაზინის მამულებისა და საიჯარადრო მიწების ხელშეკრულობის პირობანი არ შეასრულეს და დაარღვიეს, ან მომეტებული მიწა მოხნეს, ჯეროვანი პური და მცენარე არ დათესეს, მიწა არ გააპოხიერეს, ხეები არ დარგეს, ამ მიწებზედ ამოსული ტყე გასჩეხეს, შენობანი დაანგრიეს, სამეურნეო ანგარიში წესიერად არ აწარმოეს, მამულებისა და მიწების მოძრავი ქონება არ ჩააბარეს ხაზინას, ხელშეკრულობით სავალდებულო რაოდენობა მარილისა არ შეიმუშავეს,—თითოეულს სამასს მანეთზედ არა უმეტესი, ხოლო ხელახლად გაზგვრის შემდეგ საიჯარადრო ფული შემცირებულ,—თითოეულის სამას მანათზედ არა უმეტესი, ხოლო თუ მამული და მიწა გლეხთა და მკვიდრ მცხოვრებელთა საზოგადოებათა აქვთ იჯარით აღებული—ორმოცდა ათი მან. თითო მეურნეს; ასევე ნუ გარდახდებათ ზარალი თუ ამავე მამულებისა და მიწების მამული და მიწა გლეხთა და მკვიდრ მცხოვრებელთა საზოგადოებათა აქვთ იჯარით აღებული, თითო მეურნეს ორმოც-და-ათი მან. ასევე ნურაფერი ჯარიმა ნუ შეეწერებათ სხვა ამ გვარ ხელშეკრულობისა დღევანდლამდე დარღვევისათვის.

11) ნუ გამოერთმევათ ის ზარალი, რომელიც იმის გამოა მომხდარი, რომ მოიჯარადრეებს დღევანდლამდე ხელ-შეკრულობის ვადა დაურღვევიათ და თავი დაუნებებიათ ხაზინისა, კაბინეთისა, ხელმწიფისა, სასახლისა და საუფლისწულო მამულებისა და საიჯარადრო მიწებისათვის და თუ ამ მამულებისა და მიწების მოიჯარადრეებმა ხელ-შეკრულობის დადებამდე უარი განაცხადეს იჯარისაგან, ზარალის იმ ნაწილს გარდა, რომლის შევსებაც მოიჯარადრეთა მიერ წინდად შეტანილ ფულიდგან შეიძლება.

12) ეპატიოთ ხაზინისა, კაბინეთისა, ხელმწიფისა, სასახლისა და საუფლისწულო მამულებისა და საიჯარადრო მიწების ყოფილ და აწინდელ მოიჯარადრეთ აქამდე გარდაუხდელი ჯარიმა, როგორც საიჯარადრო შესატან ფულისა, ისე სამარილე წყაროებისა და ფისისა და კუპრის ქარხნების იჯარის გარდასახადის დროზედ შეუტანლობისათვის.

II. არა ვსტოვებთ რა წყალობისა ჩვენისა გარეშე იმათ, რომელთაც, ქონების მხრივ შეუძლებლობისა ან უბედურ გარემოებათა გამო, ვერ შეიძლეს და ვერ შეასრულეს მთავრობისაგან დაკისრებულნი ვალდებულებანი, ვბრძანებთ:

1) ეპატიოს ჯარიმანი დღევანდლამდე იმ სახელმწიფო გაწერილის ხარჯისა, ნასყიდობის და უფასოდ გადასულ მამულის გარდასახადის დროზედ შეუტანლობისა.

2) ეპატიოს მიწერილი, ანუ გარდასახდელი, ხოლო ჯერ ისევე გარდაუხდელი ჯარიმა იმისი, რაც დღევანდლამდე დარღვეულია: ა) დებულება ვაჭრობისა და სხვა მრეწველობათა უფლებისათვის გარდასახადისა, ბ) წესები ორთქლის ქვაბების გარდასახადისა (უმაღლესად 1894 წლის 14 მარტს დამტკიცებული სახელმწიფო საბჭოს აზრი) და გ) მრეწველობის წესდების მე-153—156 მუხ. (კანონთა კრებულის მე XI ტ., მე-II ნაწ., გამოც. 1893 წ.), თუ ეს ჯარიმა ყოველ დარღვევისათვის 300 მანეთს არ აღემატება, ხოლო თუ აღემატება, იმათ მხოლოდ 300 მან. ეპატიოთ.

3) ამოიწეროს ანგარიშიდგან საპატიებლად ყველა გარდაუხდელი და შემოუტანელი გარდასახადი 1894 წლის პირველ იანვრამდე ვაჭრობისა და მრეწველობის უფლებისა (კანონთა კრება მე-V ტ., პირდაპირ სახ. წესდ. მე-213 მუხ., გამოც. 1893 წ.), ორმოც-და-ათ მანეთზედ არა უმეტესი, ხოლო თუ ამ ჯამს აღემატება, თითოეულს მხოლოდ ამდენი ეპატიოს. ეს შეღავათი არ მიეცემათ იმათ, რომელთაც შესავსებელ ხუთ-პროცენტიან გარდასახადის შემოუტანელი ფული აძევთ ვალად.

4) ეპატიოთ და არ გარდახდეთ შეწერილი ანუ დაკისრებული, მაგრამ ჯერ ისევე შეუტანელი დღევანდლამდე ხაზინაში ის ჯარიმა გერბის გარდასახადის წესდების დარღვევისა, რომლის გარდახდევინება დადგენილია დღევანდლამდე ამ ხუთისა და მეტის წლიდგან.

5) ეპატიოთ სრულიად დღევანდლამდე შემოუტანელი გარდასახადი ჯარიმითურთ.

ა) იმ გადასახლებულებს, რომელნიც დაბინადრებულნი არიან ხაზინის მიწებზედ მინისტრთა კომიტეტის 1881 წ. 10 ივნისსა და 1884 წ. 17 თებერვალს უმაღლესად დამტკიცებულ დებულებისა და აგრეთვე 1889 წ. 13 ივლისის წესების საფუძვლით,—ამა მიწების საიჯარადრო ფულისა (ევროპის რუსეთში) ანუ ბეგარისა (ციმბირში);

ბ) გლეხებსა და მკვიდრ მცხოვრებლებს, რომელნიც გარდასახლებულან, სოფლის მკვიდრთა და მკვიდრთ მცხოვრებელთა თავისის ნებით ხაზინის მიწებზედ გარდასახლების წესების თანახმად (საზოგადო დებ. მე-33 მუხ. მე-2 სხოლიოს დამატ. განგრძ. 1891 წ., მე-19—24 მუხ. და აგრეთვე სახელმწიფო საბჭოს 1892 წ. 20 აპრ. უმაღლ. დამტ. აზრი, 1892 წლ. „კანონ-დებ. კრებ.“ მე-II ნაწ., მე-54 №-რი, მე-543 მუხ.), შემდეგს გუბერნიებსა და ოლქებში: სამარისა, ორენბურგისა, უფისა, ტობოლსკისა, ტომსკისა, ირსკუტსკისა, ენისეისა, ურალისა, ტურგაისა, აკმოლინისა, სემიპალატინსკისა და სემირეჩენსკისაში,—იმ სახაზინო გარდასახადისა, რომელიც წინანდელ საზოგადოებებში ყოფნის დროს უნდა გარდაეხადათ.

6) ეპატიოს ყველა 1894 წ. პირველ იანვრამდე გარდაუხდელი შემოსატანი ნადირთა ტყავის გარდასახადისა და ბეგარისა, რომელსაც იხდიან ქოჩად მავალი, მოტანტალე და ბინადარნი უცხო ტომის ხალხნი ჩვენის კაბინეთის სასარგებლოდ.

7) ეპატიოთ ამა დღემდე ყოველგვარი გარდასახდევინებელი და ჯარიმა სახაზინო გლეხებადა და ხაზინის სამთო ქარხნების მუშებად ყოფილთ და აგრეთვე იმ გლეხებს, რომელნიც დაბინადრებულნი არიან ხაზინის მიწებზედ, როგორც პირადად მათგან, ისე საზოგადოებათა და სოფელთაგან გამოსართმევი ფული ხაზინის იმ მამულებითა და საიჯარადრო მიწებით სარგებლობისათვის, რომელიც შემდეგ მათვე „ნადელად“ მიეცათ.

8) ნუ გამოერთმევათ ვალი ას ორმოც და-ათ მანეთზედ არა უმეტესი, იმ სხვა-და-სხვა წოდების ხელოსნებსა და მუშებს, რომელთაც ეს ვალი დასდებიათ ხაზინისა და კაბინეთის სამთო ქარხნებში მუშაობის დროს, აგრეთვე ამ ქარხნებისათვის მასალისა

და თადარიგის მომზადების საქმეში; ხოლო თუ ამ ვალისა 150 მანეთზედ მეტი აქვთ შეუტანელი, ყოველ ვალისა 150 მან. გამოერიცხოთ.

9) ეპატიოთ შემოუტანელი ფული, საადგილ-მამულო ბეგარისა, რომელიც დღევანდლამდე დასდებიათ საწესდებო სიგელით (уставная грамота) ალტაისა და ნერჩინსკის სამთო ოლქების ქარხნების მომუშავეებზედ ნამყოფს გლეხებს და საზოგადოდ მიწებით სარგებლობისათვის საწესდებო სიგელთა გარეშეც.

10) გარდასახდელ ნუსხიდგან გამოირიცხნენ ბ შესატანი ფულიც ეპატიოთ ალტაის სამთო ოლქის იმ ხელოსნებსა და დღიურად მომუშავეებს, რომელნიც სასოფლო საზოგადოებაში არიან გადარიცხულნი და მიწები-კი არ მისცემიათ „ნადელად“.

11) ეპატიოთ ალტაისა და ნერჩინსკის სამთო ოლქების მომუშავეებს დღევანდლამდე მათზედ დარჩენილი ვალი იმ სესხისა, რომელიც მიცემული აქვთ სხვა-და-სხვა შემთხვევისა გამო და ჯამაგირში ამ თავით ფულად და სურსათად.

12) ეპატიოთ პურად აღებული ვალი ბაიკალის იქითა მხრის ჯარის მიწად-მომქმედ ყაზახებსა და გლეხებს, რომელიც დასდებიათ წინად, ნერჩინსკის სამთო ოლქთან მთავარ-საკომისიონეროს დაარსებამდე—1869 წლამდე.

13) ეპატიოს სარგებელი, რომელიც დღევანდლამდე შეკრებილა ალტაისა და ნერჩინსკის სამთო ოლქებში ვალად გაცემულ ტყის საფასურისა, და ანგარიშიდგან გამოირიცხოს.

14) ეპატიოთ და ანგარიშიდგან გამოირიცხოს ის გარდასახდელი ვალი, რომელიც დღევანდლამდე დასდებიათ გამოანგარიშების შემდეგ აღმოსავლეთ ციმბირის მარილის მზიდველ მცხოვრებლებს.

15) ეპატიოთ სათევზო და ზღვის ღორის წარმოების წესდების დამრღვეველთ კასპიის ზღვისა და ამიერ-კავკასიის მხრის აღმოსავლეთ ნაწილის წყლებში ის ნაწილი გარდასახდელ ფულისა, რომელიც შეწერილი აქვთ, მაგრამ ჯერ არ გადაუხდიათ, 1894 წლამდე და რომელიც, 1893 წ. სასოფლო მეურნეობის წესდ. მე-646 მუხ. მე-2 სხოლ. და მე-769 მუხ. ძალით, ხაზინაში უნდა იქმნას შეტანილი, ხოლო სამასს მანეთზედ არა უმეტესი-კი თითოეულს.

16) ეპატიოთ დღევანდლამდე გარდაუხდელი შემოსატანი ფული: ა) მინისტრთა კომიტეტის 1868 წ. 22 ნოემბერსა და 1876 წ. 14 მაისს უმაღლესად დამტკიცებულ დებულების ძალით მურმანის გარდასახლებულთათვის მიცემულ სესხისა, რომელთაც ისარგებლეს ამ სესხით და მურმანის ნაპირად დაბინადრდნენ, —ყოველ სესხზედ ას-ორმოც-და-ათ მანათზედ არა უმეტესი, და ბ) აღარ გამოერთვათ ყოველ სესხის აწ ვალად მყოფ არა ნახევარზედ უმეტესისა მურმანის თევზის მწარმოებელთ, რომელთაც ეს სესხი მიცემული აქვთ სახელმწიფოს საბჭოს 1886 წლის უმაღლესად დამტკიცებულ აზრის საფუძველით.

17) აღმოირიცხოს ანგარიშიდგან ის ზარალი, რომელიც დღევანდლამდე მოსვლია ხაზინას ჯარის-კაცთა, იმათ ცოლთა და ქვრივთა სასარგებლოდ შემწეობის უკანონოდ დანიშვნის გამო, იმ შემწეობისა, რომლის გაცემაც დადგენილია უმაღლესად დამტკიცებულის 1867 წ. 25 ივნისს სამსახურ გარეშე მყოფთა და უვადოდ დათხოვნილთა ჯარის-კაცთა მოწყობის დებულებით, 1872 წ. 6 ივნისს პოლონეთის სამეფოს საქმეთა კომიტეტის დებულებითა, 1875 წ. 18 ოქტომბერს სახელმწიფოს საბჭოს აზრით და აგრეთვე სამხედრ. ბეგარ. წესდ. მე-33 მუხლით.

18) ეპატიოს სამსახურ გარეშე მყოფ ჯარის-კაცებს, იმათ ოჯახობათა და გლეხთა და მკვიდრთ მცხოვრებელთა საზოგადოებათ დღევანდლამდე ის შესატანი ფული, რომელიც უნდა გადაჰხდეთ ხსენებულ ჯარის-კაცებსა და იმათ ოჯახობის წევრთ ხაზინის საავადმყოფოებსა და სამკურნალოებში წამლობისათვის და აგრეთვე დღევანდლამდევე ვალი ყველა იმათ, რომელნიც სასახლის უწყების საავადმყოფოებში წოლილან და ხარჯი არ გადაუხდიათ.

19) ნულარ გადაჰხდებათ 1894 წ. პირველ იანვრამდე ვალად დარჩენილი სხვა-და-სხვა გუბერნიების თავად-აზნაურობაზედ ის ფული, რომელიც უნდა გადაეხადათ საერო განათლების სამინისტროს სასწავლებლების პანსიონებში მყოფ თავად-აზნაურთა მოსწავლე შვილების ხარჯად; ამასთანავე აღმოირიცხოს საერო განათლების სამინისტროს განსაკუთრებულ შეძლების ანგარიშიდგან ხარჯი წინანდელ წლებისა და 1893—94 წ. მეორე ნახევარ წლისა, ე. ი. 1894 წლის პირველ ივლისამდე, როგორც მამათა, ისე დედათა სასწავლებლებში სწავლისა, ლექციების მოსმენისა და პანსიონში ცხოვრებისა.

20) ეპატიოთ ნაწილი იმ სესხისა, რომელიც ალტაისა და ნერჩინსკის სამთო ოლქებში აქვთ მიცემული მოხელეებსა, კანცელარიის მოსამსახურეთა და დაქირავებულთ მსახურთ შინა საქმეთა მოსაწყობადა და მოსაგვარებლად იმ პირობით, რომ ჯამაგირიდგან გამოერიცხოთ ხოლმე, რაც-კი დღევანდლამდე გარდუხდელია; ხოლო ეს შეღავათი არ მიეცემათ იმ მსესხებელთ, რომელთაც წელიწადში სამასს მანეთზედ მეტი ჯამაგირი აქვთ.

21) ეპატიოთ ყოველი გამოსარიცხი ფული იმათ, რომელთაც დღევანდლამდე მეტი ფული წაუღიათ ხაზინიდგან პენსიისა ანუ ალტაისა და ნერჩინსკის სამთო ოლქების ქარხნების ფულისა, თუ ბრალი არ ედებათ და სამართალში არ არიან მიცემულნი იმის გამო, რომ განძრახ, ანგაარებით ანუ სხვა არა კანონიერ საგნით ზარალი მიაყენეს ხაზინასაო.

22) ეპატიოს შესატანი ფული გაუწერელ ხარჯისა და სხვა გარდასახადისა, სადამოჟნოს გარდა, რომელიც აღნიშნული არ არის ამა მე-II მუხ. წინა პუნქტებში (ხაზინის საიჯარადრო გარდასახადთა გარდა), აგრეთვე იმ ხარჯისა, რომელიც გაღებულია პატიმართა შესანახადა, გასაგზავნად და დამნაშავეთა საფასურით მიცემულ საჭმელ-სასმლისა, გზისა და დღის ფულად და ვალად აქვთ აღრიცხული დღევანდლამდე, ანუ აღურიცხველია, ან განაწილებული, ისე-კი, რომ თითოეული ცალკე ორმოც-და-ათ მანეთს არ აღემატებოდეს. ხოლო იმ შეუტანელ ფულიდგან-კი, რომელიც ამ რაოდენობას აღემატება, ყოველ ცალკე შემთხვევაში ორმოც-და-ათი მანეთი გამოირიცხოს.

III. ვბრძანეთ ეპატიოთ და არღა გარდაჰხდეთ ქვემოხსენებულის საფუძველით ჯერ კიდევ გარდაუხდევინებელი სახელმწიფო სამსახურის ვალი (როგორც შესატანად აღნიშნული, ისე აღუნიშვნელიც), ზარალი და დანაკარგი და აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებანში მოსამსახურეთა მიერ ჯამაგირზედ მეტად წაღებული დაწესებული (ჯამაგირისა, საჭმელ სასმლისა, სადგომ-სახლისა, დღის ხარჯისა, საჭმლის დღიურ ხარჯისა, გზისა და სხვ.), თუ ეს ვალი, ზარალი, დანაკარგი და მეტად წანაღები ისეთის მოქმედებისა ანუ შეცდომის შედეგია, რომელიც დღევანდლამდე მომხდარა:

1) ის ვალი, ზარალი, დანაკარგი და მეტად წანაღები, რომელთა შესახები საქმე დღევანდლამდე ჯერ საბოლოოდ არ განხილულა ანუ არ დაწყებულა, დატოვებულ იქმნეს უკან გამოუდევნელად და სამართალში მიუცემლად, თუ იმათი ჯამი ერთის წლის ცალკე სათვლელს ანგარიშში სამასს მანეთს არ აღემატება, ანუ თუ თითოეულს მოხელეს, რომელმაც პასუხი უნდა აგოს, სამასს მანეთზედ მეტი არ ედება ვალად.

2) ეპატიოს ის ვალი, ზარალი დანაკარგი და მეტად წანაღები, რომლის გარდახდევინებაც დღევანდლამდე უკვე მიწერილია, ანუ რომელთა შესახებ საქმე უკვე საბოლოოდ განხილულია; ეპატიოს ამათგან ისინი, რომელიც პირველ-დასაწყისში, ანუ უკვე გარდახდილი ნაშთი, როგორც საერთოდ, ისე პასუხის-მგებელთა განაწილებით თითოეულს კაცზედ სამასს მანეთს არ აღემატება.

3) იმ ვალისა, ზარალისა, დანაკარგისა და მეტად წანაღებისა, რომელიც აღემატება ამა მე-III მუხლ. 1 და მე 2 პუნქტ. აღნიშნულს ჯამს, თითოეულს, რომელთაც უნდა გადაჰხდეთ, სამასი მანეთი ეპატიოთ.

4) ნულარ გადაჰხდებათ ის ვალი, რა ჯამისაც უნდა იყოს, რომელიც იმის გამო დასდებიათ, რომ ჯეროვან მთავრობის ნება-დაურთველად და დადგენილ წესის გარეშე ჯილდო და ყოველ გვარი შემწეობა გაუციათ როგორც კანცელარიისა და შტატის ფულის ნაშთიდგან, ისე სხვა ამა საგნისათვის დანიშნულ წყაროდგანაც.

5) იმ ზარალისა და დანაკარგისა, რომელიც დღევანდლამდე მიუყენებიათ ხაზინისათვის სამსახურის ჯეროვანად აუსრულებლობით, აგრეთვე დღევანდლამდე ხაზინიდგან მეტის ფულისა ანუ ქონების გატანით, თუ ეს დანაკლისი უნდა გადაჰხდეთ ხაზინის სასარგებლოდ დამნაშავეთ ანუ ამათ თავმდებთ, ანუ სხვათ, საქმესთან დამოკიდებულთ, ერთი ორად,—მხოლოდ თავნი ფული გამოერთვათ.

6) სარგებელი, რომელიც დადგენილია გარდასახდევინებლად ხაზინის ინტერესის დარღვევისათვის და ჯერ-კი არ წარუდგენიათ სადაც ჯერ არის, —ნუ გადაჰხდებათ დღევანდლამდე, სულ ერთია რა ჯამისაც უნდა იყოს, და ამისთანა შემთხვევაში გამოერთვათ მხოლოდ თავნი საფასური იმ ზარალისა, რომელიც ხაზინას მოსვლია.

7) ყოველის ხაზინის ფულადი ვალი სამსახურშივე დადგენილი, გარდასახდელი იმათ მემკვიდრეთაგან, რომელთაც უნდა გამორთმეოდათ, მაგრამ რომელნიც დღევანდლამდე დაიხოცნენ, და აგრეთვე ქვრივთა და ობოლთა პენსიიდგან გარდასახდელი, ეპატიოთ და ნურც იმათ გამოერთმევა, რომელნიც, თუ ვინიცობაა არ იკმარებდა ხსენებულ მემკვიდრეთა მამული, უნდა ყოფილიყვნენ პასუხის-მგებელნი.

8) სრულიად ეპატიოთ ყოველი ხაზინის ვალი, რომელიც უნდა გადახდენოდათ, პირდაპირ პასუხის-მგებელთა და აგრეთვე იმათ მემკვიდრეთა შეუძლებლობისა გამო, იმათ, რომელნიც იმათ შემდეგ იყვნენ პასუხის-მგებელნი იმ ზარალისა, ზიანისა, დანაკარგისა და მეტად წაღებულის ფულისათვის, რომელიც ხაზინას მოსვლია დღევანდლამდე.

9) ყველა სახაზინო სამსახურის ვალი, ზარალი, ზიანი და მეტად წანაღები, რაიცა შედეგი ყოფილა უკანონო მოქმედებისა, ანუ შეცთომისა, ეპატიოთ, თუ მას შემდეგ დღევანდლამდე ათს წელიწადზედ ნაკლებს არ განუვლია.

10) ეპატიოს და ნულარ გადაჰხდება თანამდებობის მქონეთა ზედა მიწერილი ანუ მათგან მისაღები, ხოლო დღევანდლამდე ხაზინაში შეუტანელი, ჯარიმა, ჯამის დამოუკიდებლად, გერბის გარდასახადის წესდების დარღვევისათვის და მხოლოდ ჩვეულებრივი გერბის გარდასახადი გამოერთვათ.

11) ამოიწეროს ანგარიშიდგან და ნულარ გადაჰხდებათ სახელმწიფო რკინის გზების მოხელეთ, რომელთზედაც დღევანდლამდე ვალად ითვლება, რაოდენობის განუსაზღვრელად, ის ფული, რაც დასდებიათ კონტროლის ანგარიშით, ანუ საზოგადოდ გადასაზიდ ფასებისა და ტარიფის წესიერად გამოურთმევლობისათვის.

12) ეპატიოთ და ნურღა გამოერთმევათ ყოველი ჯარიმა იმ საქმის გამო, რომელსაც ხაზინის ზარალთან კავშირი არა აქვთ-რა, დაკისრებულია, მაგრამ დღევანდლამდე გარდაუხდელი, და აგრეთვე ის ჯარიმაც, რომელიც უნდა გარდახდენოდათ სამსახურის წესიერად აუსრულებლობისა და დღევანდლამდე ჩადენილ შეცდომისათვის.

13) ხსენებულ მე III მუხლის წინა პუნქტების ძალას არ ექვემდებარება: ის ფული, რომელიც ხაზინას არ ეკუთვნის და თუმცა მთავრობის განკარგულებაში იმყოფება, მაგრამ განსაკუთრებული დანიშნულება აქვს; იმათი მოქმედება, რომელთაც მოუპარავთ ანუ დაუხარჯავთ ხაზინისა ანუ მთავრობის მიერ დაარსებულ დაწესებულებათა რაიმე გვარი საკუთრება, ოდეს მისი დაცვა იმათა ჰქონდათ რწმუნებული მუდმისად ან დროებით, და რომელთაც განზრახ ანგარებით, ანუ სხვა არა-კანონიერის აზრით ზარალი მიუყენებიათ ხაზინისათვის, და აგრეთვე ის მოქმედებანი, რომელთა შესახებაც დღევანდლამდე ჯერ ანგარიში არ არის წარდგენილი.

14) ამა მე-III მუხ. წინა პუნქტების ძალას არ ექვემდებარება იმათი საქციელი, რომელნიც სახელმწიფო დაწესებულებანში ჰმსახურებენ დაქირავებით.

IV. მივაპყრობთ რა თვალთა ჩვენთა უბედურთა და გაჭირვებულთ, თუნდა თავისის მიზეზითაც იყვნენ გაჭირვებულნი, და სამართლიანობა მიგვაჩნია რა ერის კეთილდღეობის საფუძვლად, პატივსა ვდებთ უფლისაგან ჩვენდა მოვლენილსა ძვირფასსა წილ-ხვედრსა უფლებას შეწყალებისასა და პატიებისას.

ამის გამო ვბრძანებთ:

1) ყველა ისეთ დანაშაულისა და ბრალის ჩამდენნი, რომლისათვისაც იმათ, კანონით, ფულად უნდა გადაჰხდეთ სამასს მანეთზედ არა მეტი, შენიშვნა უნდა მიეცეთ, დაპატიმრებულ იქმნენ საპატიმროსა ანუ ციხეში, ხოლო პირადად და წოდებრივად მინიჭებულ ზოგიერთ განსაკუთრებულ უფლებათა და უპირატესობათა ჩამოურთმევლად, ანუ სამსახურის საპატიჟონი უნდა გარდახდეთ, სასჯელთა დებულ. მე-65 მუხ. მე-2—9 პუნქტ. აღნიშნულნი; ისინი, რომელთაც ჰბრალდებათ ყალბის საცხოვრებელ ბილეთის შედგენა, ან ასეთის ბილეთით ცხოვრება, თუ ამასთან სხვა, უფრო მძიმე დანაშაული არა მიუძღვით-რა; აგრეთვე ყველა ისინიც, რომელთაც ედებათ ბრალი ტყის გაჩეხვისა და სახელმწიფო, სატყეო და სამთო უწყებათა, კაბინეთისა, ხელმწიფისა, სასახლისა და საუფლისწულო ტყეთა წესების დარღვევისა, ნავოსნობისა და ტყე-შეშის წყლით გაზიდვის წესების დარღვევისა, დაღუპულ გემთა შემდეგ მდინარეთა და არხთა გაუწმენდაობისა, არა-განძრახ მდინარეთა გზაზედ აგებულ შენობათა დაზიანებისა და გზატკეცილზედ მოძრაობის წესების აუსრულებლობისა, თუნდაც ამა მოქმედებისათვის ფულად ჯარიმა ჰქონდეთ მისჯილი სამას მანეთზედ მეტიც, მაგრამ რომელნიც დღევანდლამდე არ მიუციათ სისხლის სამართალში, ანუ სასამართლოს განაჩენი არ დაუდგენია, ანუ დადგენილი საბრალ-მდებლო განაჩენი აღსრულებაში არ მოუყვანიათ, ანუ ამა სასჯელს იხდიან ამ ჟამად,—განთავისუფლებულ იქმნენ სასამართლოსა და სასჯელისაგან.

2) თანამდებობის იმ მქონეთ, რომელთაც გარდუხდიათ სასჯელი, სასჯელთა დებულების მე-65 მუხ. მე-2—9 პუნქტებში აღნიშნული,—ესე ნუ ჩაეთვლებათ სამსახურის განგრძობისა და პენსიისა და ჯილდოთა მიღების დაბრკოლებად, ისე-კი, რომ უნაკლულო სამსახურისათვის წარჩინების ნიშნებსა და სამსახურის წელთა შესრულებისათვის წმ. ვლადიმირის ორდენი არ მიეცემათ.

3) ის წყალობა, რომელსაც ანიჭებს ამა მე-IV მუხ. პირველი პუნქტი, არ მიეცემათ იმათ, რომელთაც ქურდობა და ავ-კაცობა ჩაუდენიათ, სხვისი ქონება მიუსაკუთრებიათ და დაუხარჯავთ, მოვახშეობა უქმნიათ, უკანონო სარგებელი და ქრთამი აუღიათ, პატიოსნება შეურაცხ-უყვიათ და კერძო საჩივარით სამართალში არიან მიცემულნი; აგრეთვე ისეთი საქციელი ჩაუდენიათ, რომლის გამო მისჯილი ფულად გარდასახადი არ მიეცემა ხაზინასა, საუფლისწულო და სასახლის უწყებასა, კაბინეთსა ჩვენსა და ა) საპატიმრო ადგილების გასამართავსა და ბ) იმ თანხასა, რომელიც სამთო წესდ. მე-736 მუხ. საფუძვლით შესდგება (კანონთა კრებ. მე-VII ტ.). ხოლო დასჯილთა ანუ სასჯელ-დებულთ ამა მე-IV მუხ. მე-3 პუნქტში მოხსენებულ დანაშაულთათვის სასამართლოს მიერ გარდაწყვეტილი დაპატიმრების ვადის ერთი მესამედი შეუმცირდეთ. ამდენადვე შეუ-

მცირდეთ დაპატიმრების ვადა იმ ამგვარ დანაშაულთა ჩამდენთაც, რომელთა შესახებ ჯერ განაჩენი არ არის დადგენილი, ანუ დადგენილია, მაგრამ ძალაში არ არ არის შესული, ანუ რომელნიც ჯერ სამართალში არ არიან მიცემულნი.

4) ყოველთ იმათ, რომელთაც მათ მიერ ჩადენილ ბრალისა გამო ფულად ჯარიმა უნდა გარდახდეთ სამასს მანეთზედ მეტი, მიესაჯოთ სამასს მანეთით ნაკლები, იმ ჯარიმას გარდა, რომელიც ხაზინისა, საუფლისწულო, სასახლის უწყებისა, კაბინეთისა ჩვენისა და ა) საპატიმრო ადგილების გასამართავსა და ბ) იმ თანხის სასარგებლოდ არ გამოერთმევათ, რომელიც სამთო წესდ. მე-736 მუხ. საფუძველით შესდგება (კანონთა კრებ. მე-VII ტ.)

5) ისინი-კი, რომელთაც მათ მიერ ჩადენილ ბრალისა გამო ფულად ჯარიმა უნდა გარდახდეთ და ეს ჯარიმა უნდა ჩაირიცხოს ხაზინისა, საუფლისწულო, სასახლის უწყებისა, ჩვენის კაბინეთისა, ანუ ა) საპატიმრო ადგილების გასამართავსა და იმ თანხაში, რომელიც სამთო წესდ. მე-736 მუხ. საფუძველით შესდგება (კან. კრებ. მე VII ტ.), თუ ვინიცობაა დამნაშავეთ ქონება არ შესწევთ ამა ჯარიმის გარდახდას, დაპატიმრებულ ნუ იქნებიან და საზოგადო სამუშაოთი ნუ გამოერთმევათ ეს ჯარიმა; ისინი-კი, რომელთაც, ქონებრივად შეუძლებლობისა გამო, ესე გარდასახადი უკვე შეწირილი აქვთ და იხდიან, განთავისუფლებულ იქმნენ დაპატიმრებისა და სამუშაოთაგან.

6) ამა მანიფესტის ძალით სასჯელისაგან განთავისუფლება ბრალდებულს არა ჰხდის იმ ვალდებულებას, რომ ზარალისა და ზიანის საფასური, სავაჭრო და სამრეწველო მოწმობის ღირებილი ფასი, მათგან კუთვნილი აქციზი ანუ სხვა რაიმე შეწირილი ხარჯი გარდაიხადონ, იმათგან კუთვნილ ფულის იმ ნაწილს გარდა, რომელიც უნდა ეპატიოთ ამა მანიფესტის წინა მუხლების ძალით; ამას გარდა ესევე არ იხსნის იმისაგან, რომ კანონის მიერ დადგენილს შემთხვევაში, ნივთეულობანი და ავეჯეულობა შეეკრათ და აეწეროთ, ანუ ძალა დაეტანოთ, რომ უწესოდ აშენებული დაანგრიონ და შეაკეთონ (სასჯელთა წესდ. მე-68 მუხლი.). საქმენი სახელმწიფო და კერძო მფლობელთა, აგრეთვე სახაზინო და კერძო კაცთა და საერთო ტყეებში სატყეო წესდ. დარღვევის შესახებ უნდა დამთავრებულ იქმნას ამისთვის დადგენილ წესდების თანახმად, რათა გამორკვეულ იყოს ზომა ჯარიმისა, რომელიც შეიძლება კერძო კაცთა და წოდებათა სასარგებლოდ იყოს გარდასახდელი.

7) ყოველ დანაშაულისა და ბრალისა, რომელთა პატიებაც ამა მანიფესტის საფუძველით არ შეიძლება და რომელიც დღევანდლამდეა ჩადენილი, ხანგრძლივობის ვადა (давность), სისხლის სამართლის კანონებით დადგენილი, შემცირდეს ერთის მესამედით.

8) ყველა იმათ, რომელთაც დღევანდლამდე ისეთი დანაშაული და ბრალი ჩაუდენიათ, რისთვისაც დაპატიმრებულ უნდა იქმნენ საპატიმროსა ჲ ციხეში და ჩამოერთვათ ზოგიერთი განსაკუთრებული უფლებანი და უპირატესობანი, დაპატიმრებულ უნდა იქმნენ ციხეში და ზნეობის გამასწორებელ სატუსაღო განყოფილებაში და ამასთან ჩამოერთვათ ყოველი განსაკუთრებული უფლებანი და უპირატესობანი,—მესამედით შეუმცირდეთ სასამართლოს მიერ მისჯილი ვადა; ამდენადვე შეუმცირდეთ ვადა იმათ, რომელთაც უკვე მისჯილი აქვთ სასჯელი, ან იხდიან კიდეც.

9) დღევანდლამდე სასჯელისაგან განთავისუფლებულთ ისე-კი, რომ ადგილობრივ პოლიციისა ანუ საზოგადოებათა განსაკუთრებულ მეთვალყურეობის ქვეშე იმყოფებოდნენ, შეუმცირდეთ სასჯელ. დებ. მე-48 და 49 მუხ. თანახმად დადგენილი ვადა ასეთის მეთვალყურეობისა მესამედით.

10) ყველა იმათ, რომელნიც დღევანდლამდე ჩადენილ დანაშაულისა და ბრალისათვის უნდა გადასახლებულ იქმნან ციმბირში ანუ, ციმბირს გარდა, შორეულ გუბერნიებში საცხოვრებლად, აგრეთვე უკვე სასჯელ-მისჯილთა და სასჯელის გარდამხდელთ,—ნება მიეცეთ, ციმბირს გარდა, შორეულს გუბერნიებში გაგზავნილთ, გარდასახლების ადგილას მისვლის ათის წლის შემდეგ, ხოლო ციმბირში საცხოვრებლად გაგზავნილთ თორმეტის წლის შემდეგ, თავისუფლად ამოირჩიონ საცხოვრებელი ბინა ევროპისა და აზიის რუსეთში, სატახტო ქალაქებსა და ამ ქალაქების გუბერნიებს გარდა, უფლებათა აღუდგენლად. ხოლო ციმბირსა და ანუ, ციმბირს გარდა, შორეულს გუბერნიებში საცხოვრებლად გაგზავნილთ დაპატიმრებით ანუ, ამის ნაცვლად, იმ პირობით, რომ ფეხ-მოუცვლელად ერთს დადგენილს ადგილას იცხოვრონ, ზემოხსენებულს გარდა, დაპატიმრებისა და ფეხ-მოუცვლელად ერთ ადგილას ცხოვრების ვადა მესამედით შეუმცირდეთ.

11) რათა გაუადვილდეთ ხვედრი იმ დღევანდლამდე დანაშაულის ჩამდენ დამნაშავეთ, რომელთა საცხოვრებლად გაგზავნა უნდა მიესაჯოთ; მისჯილი აქვთ და იხდიან კიდეც; იმათ, რომელნიც კატორგიდგან ამ ჟამად საცხოვრებლად გადასახლებულთა ხარისხში არიან გადაყვანილნი, ანუ უნდა იქმნენ გადაყვანილნი ამა ხარისხში, თუ დანაშაული დღევანდლემდე ჩაუდენიათ,—შეუმცირდეთ კანონის მიერ დადგენილი ვადა ათის წლისა საცხოვრებლად დასახლებულთა ხარისხიდგან გლეხთა წოდებაში გადასვლისა, თუ ოთხის წლის განმავლობაში მოსაწონ ყოფა-ქცევისანი იყვნენ და სასარგებლო შრომას ადგნენ; ხოლო საცხოვრებლად გარდასახლებულთ, რომელნიც თოთხმეტ წელზედ ნაკლები არ არის, რაც გაგზავნილნი არიან, ნება მიეცეთ საცხოვრებელი ადგილი თვითვე ამოირჩიონ, სატახტო ქალაქებსა და ამ ქალაქების გუბერნიებს გარდა, ხუთის წლით პოლიციის მეთვალყურეობა დაენიშნოთ და, ყოველ წოდებრივ უფლების ჩამორთმევის ნაცვლად, ჩამოერთვათ, სასჯელთა დებულ. მე-43 მუხ. თანახმად, ყველა განსაკუთრებული პირადად და წოდებრივად მოპოვებული უფლებაუპირატესობანი, ქონებრივ უფლების აღუდგენლად.

12) იმათ, რომელთაც კატორგა აქვთ გადაწყვეტილი, თუ კეთილის ყოფა-ქცევითა და შრომის გულ-მოდგინეობით შეწყნარების ღირსნი აღმოჩნდებიან, შეუმცირდეთ სასამართლოს მიერ მისჯილი ვადა კატორგისა მესამედით, უვადოდ კატორგა მისჯილთ-კი ოცის წლის ვადიან კატორგად შეეცვალოთ. ესევე წყალობა მიენიჭოთ იმათაც, რომელთაც კატორგაში გაგზავნა ექმნებათ გარდაწყვეტილი დღევანდლამდე ჩადენილ დანაშაულთათვის.

13) იმ გაგზავნილთ, რომელთაც ამა მე-IV მუხლის მე-11 და მე-12 პუნქტებში მოხსენებული წყალობა მინიჭებული აქვთ 1883 წლის 15 მაისის ყოვლად უმოწყალესის მანიფესტით და 1891 წლის 17 აპრილის უმაღლესის სახელ-დებულის ბრძანებით, შემდეგი შეღავათი მიეცეთ:

ა) კატორგაში გაგზავნილთ მუშაობის ვადა ერთის წლით შეუმცირდეთ;

ბ) დასახლებულთ, რომელთაც უკვე მოპოვებული აქვთ უფლება გლეხთა წოდებაში შესვლისა, ნება მიეცეთ ციმბირის ქალაქების მკვიდრ მცხოვრებელთა საზოგადოებაში ჩაირიცხნე, თუ ეს საზოგადოებანი თანახმანი იქნებიან, ისე-კი, რომ ევროპის რუსეთში მოსვლა არ შეეძლოთ, თუ ამისი ნება დართული არ ექმნებათ იმ წესით, რომელიც დადგენილია 1883 წ. 15 მაისის ყოვლად უმოწყალესის ბრძანებით; ხოლო იმათ-კი, რომელთაც უფლება აქვთ მოპოვებული ციმბირის ქალაქების მკვიდრ მცხოვრებელთა საზოგადოებაში ჩაირიცხნენ, შეუმცირდეთ ვადა ციმბირში თოთხმეტს წელიწადს საავალდებულო ცხოვრებისა ერთის წლით;

გ) იმათ, რომელნიც ციმბირში ანუ, ციმბირს გარდა, შორეულს გუბერნიებში არიან გაგზავნილნი, და აგრეთვე ციმბირში დასასახლებლად გაგზავნილთ 1854 წ. 23 ნოემბერის წესებისამებრ, თუ განთავისუფლებულნი არიან ამ სასჯელისაგან 1887 წ. 15 მაისის ყოვლად უმოწყალესის მანიფესტითა და 1891 წ. 17 აპრილის უმაღლესის ბრძანებით, ნება დაერთოთ მიიღონ ისეთი პასპორტი, რომელშიაც „გაგზავნილად“ სახელდებულნი არ იქმნებიან, არ იქნება აღნიშნული გარემოება იმათის სამართალში მიცემისა და არც წითელი ასოები დაისმება უფლებათა ჩამორთმევის ნიშნად; იმათ-კი, რომელთაც 1891 წ. 17 აპრილის უმაღლესის ბრძანების მე-5 მუხ. მე პუნქტ. გ)-ის ძალით, უკვე მოპოვებული აქვთ უფლება ასეთის პასპორტების მიღებისა, როდესაც გასაგზავნ ადგილას ცხოვრების ვადას გაათავებენ, და ამ ჟამად-კი ისევ ციმბირში იმყოფებიან, შეუმცირდეთ ვადა ციმბირში სავალდებულო ცხოვრებისა ერთის წლით.

14) ამა მე-IV მუხ. მე-11, 12და და 13 პუნქტებში განმარტებულ შეღავათის მიცემას მივანდობთ, კუთვნილებისამებრ, შინაგან საქმეთა მინისტრსა, და ირკუტსკისა და ამურის მხრის გენერალ-გუბერნატორებს, ოდეს დარწმუნდებიან, რომ სასჯელდადებულნი კეთილის ყოფა-ქცევისანი არიან.

15) დანაშაულისა გამო სასჯელდადებულთ მცირე წლოვანთ, ანუ მათგანსავე იმათ, რომელთაც სასჯელი უნდა დაედოთ დღევანდლამდე ჩადენილ დანაშაულისათვის და ოთხს წელზედ ნაკლების ვადით კატორგაში გაიგზავნენ, განთავისუფლდნენ და გადასასახლებლად გაგზავნილთა ხარისხში იქმნან გადარიცხულნი.

16) ის შეღავათი, რომელსაც ანიჭებს ესე მანიფესტი ხასიათის გამასწორებელ განყოფილებათა და დასასახლებლად გაგზავნილ რიგობის კატორგის პატიმართ, უფლებას არ ართმევს ზემოხსენებულთ ისარგებლონ იმ ვადის შემცირებითა და უპირატესობანით, რომელიც ეძლევათ ამა 1894 წ. 7 მაისს უმაღლესად დამტკიცებულ იმის შესახების წესებით, რომ ტუსაღები და გაგზავნილნი ციმბირის გზის შუა ნაწილის სამუშაოზედ იქმნენ მიზიდულნი.

V. იმათ, რომელთაც ისეთი არაკანონიერი მოქმედება ჩაუდენიათ ან თუ ის დადგენილნი წესები დაურღვევიათ, რომლისათვისაც უნდა შეეწეროთ ან შეეწერათ კიდეც ფულად ჯარიმა, სადმინისტრაციო წესით დაკისრებული, განთავისუფლებულ იქმნენ ამა ჯარიმის გარდახდისაგან იმ ზომად და იმავე პირობით, როგორც დადგენილია ამა მანიფესტის წინა მე-IV მუხლის 1, 4 და 5 პუნქტებში თუ ამა მანიფესტის სხვა მუხლთა ძალით ჯარიმის უმეტესი ნაწილი ნაპატიები არა აქვთ. ამავე საფუძვლით განთავისუფლებულ იქმნენ ჯარიმისა, გამოძიებისა და სამართალში მიცემისაგან ისინი, რომელთაც აიცილეს სამხედრო ბეგარის გარდახდა, თუ ამ დღიდგან ერთის წლის განმავლობაში გამოცხადდნენ.

VI. სახელმწიფო, სატყეო და სამთო უწყებათა, კაბინეთისა, ხელმწიფისა, სასახლისა და საუფლისწულო ტყეების სატყეო მოხელენი და დარაჯნი, ანუ, თუ ეს უკანასკნელნი შეუძლებელნი არიან, ყოველ სახელწოდების გლეხნი, რომელთაც ფულად ჯარიმა აქვთ შეწერილი ან უნდა შეეწეროთ, რადგან თვალ-ყური არ უდევნებიათ ვის გაუჩეხია ტყე და ვის დაურღვევია დღევანდლამდე იმა ტყეთა კანონ-დებულებანი და წესები,—ამა ჯარიმიდგან განთავისუფლებულ იქმნენ. ესე წყალობა არ მიენიჭებათ იმ სატყეო მოხელეთა და დარაჯთ, რომელთაც განძრახ მიუციათ ვისთვისმე ნება სატყეო დადგენილებათა დარღვევისა.

VII. დამნაშავეთა მემკვიდრეები და აგრეთვე პასუხის-მგებელნი, თვით დამნაშავეთა შეუძლებლობისა გამო, რომელთაც არ ენიჭებათ ამა მანიფესტის მე-III მუხ. მე-7 და 8 პუნქტებში აღნიშნული შეღავათი, განთავისუფლებულ იქმნენ ხაზინის წინაშე ფულად პასუხის-გებისაგან, თუ დანაშაულის შემდეგ დღევანდლამდე 10 წელიწადია გასული.

VIII. ტანტალისათვის დღევანდლამდე სასჯელ-დადებულთ, რომელნიც გამოაშკარავებენ თავისს ვინაობასა და წოდებას, რაკი ესე შემოწმებული იქნება ადგილობრივ სასამართლოს მიერ, ნება დაერთოთ თავიანთ საზოგადოებაში დაბრუნებისა და სხვა საზოგადოებაში ჩარიცხვისა, თუ ეს საზოგადოებანი ამის თანხმობას განაცხადებენ; იმათ-კი, რომელნიც ვალდებულნი არ არიან რომელსამე საზოგადოებას მიეწერნენ, ნება დაერთოთ ევროპის რუსეთში დაბრუნებისა, სატახტო ქალაქებსა და ამ ქალაქების გუბერნიებს გარდა.

IX. იმათ, რომელნიც არიან გაგზავნილნი ანუ უნდა გაიგზავნენ საადმინისტრაციო წესით, დღევანდლამდე დადგენილ საზოგადოებათა განაჩენისამებრ, და აგრეთვე იმათ, რომელნიც დღევანდლამდე ჩადენილ დანაშაულის სასჯელის გარდახდის შემდეგ არ იქმნენ მიღებულნი თავისსაზოგადოებაში, თუ მოსაწონი ყოფა-ქცევა აქვთ, ნებას ვაძლევთ, გაივლის რა 3 წელიწადი გაგზავნის ადგილას ცხოვრების შემდეგ, კანონის მიერ ნება-დართვისამებრ (1890 წ. გამოც. გაგზავნილთა წესდ. მე-520 მუხ.) ჩაირიცხნენ სხვა გუბერნიებსა და საზოგადოებაში, იმათ გარდა, საიდგანაც განშორებულნი არიან.

X. კავკასიის იმ ადგილობრივ მკვიდრთ, რომელნიც კავკასიის უმთავრესის მთავრობის განკარგულებით არიან გაგზავნილნი საზოგადო სისხლის სამართლის დანაშაულთა ჩადენისა და ბიწიერ ყოფა-ქცევისათვის და დასახელებულნი ციმბირისა და ევროპის რუსეთის გუბერნიებში, თუ გაგზავნის ადგილას მოსაწონ ყოფა-ქცევისანი იყვნენ, მიენიჭოთ:უვადოდ გაგზავნილთ—თორმეტის წლის შემდეგ, ხოლო ისეთის ვადით გაგზავნილთ, რომელიც ხუთს წელიწადს აღემატება,—გაგზავნიდგან ხუთის წლის გასვლის შემდეგ უფლება ამოირჩიონ საცხოვრებელი ადგილი, სატახტო ქალაქებსა, ამ ქალაქების გუბერნიებსა და კავკასიის მხრის გარდა, რადგან კავკასიაში ცხოვრების ნების დართვა დამოკიდებული იქმნება თვით კავკასიის უმთავრესს მთავრობისაგან.

XI. არა მოვაკლებთ რა სახელმწიფო დამნაშავეთაც იმ შეღავათს, რომელსაც ანიჭებს ამა მანიფესტის მე-IV მუხ. საზოგადო სისხლის სამართლის დანაშაულის და ბრალის ჩამდენთ:

1) ნებასა ვრთავთ შინაგან საქმეთა მინისტრს, სასჯულო საქმეთა მინისტრთან მორიგებისამებრ, იმ სახელმწიფო დამნაშავეთა შესახებ, რომელნიც დანაშაულის თვისებისა, ანუ ჩადენილ დანაშაულის მონანიებისა და კეთილის ყოფა-ქცევის გამო ღირსნი არიან სასჯელის უფრო მეტად შემსუბუქებისა, ვიდრე ესე დადგენილია ამ მანიფესტის მე-IV მუხლში, განსაკუთრებული მოხსენება წარმოგვიდგინოს.

2) მივანდობთ შინაგან საქმეთა მინისტრს ჩვენდა გადასაწყვეტად წარმოადგინოს ბედი იმ სახელმწიფო დამნაშავეთა, რომელთაც დანაშაული საადმინისტრაციო წესითა აქვთ მისჯილი და რომელნიც დანაშაულის თვისებისა ანუ სინანულის გამო ღირსნი არიან შეწყნარებისა და შებრალებისა; აგრეთვე განთავისუფლებულ იქმნენ იმათთაგან, რომელთაც აღკრძალული აქვთ განსაზღრულ ადგილებში ცხოვრება, ისინი, რომელთა ამ ადგილებში დაბრუნება შეეფერება საზოგადოებაში წესისა და მშვიდობიანობის დამყარების მოთხოვნილებათ.

3) ვბრძანებთ ის სახელმწიფო დანაშაულის საქმენი, რომელნიც ხანგრძლიობის ვადას არ ექვემდებარება (სასჯელთა დებულ. მე-161 მუხ.) და დღევანდლამდე თხუთმეტის წლის განმავლობაში გამოუმჟღავნებელია, დავიწყებულ იქმნას და ამ საქმეთა ჩამდენნი სისხლის სამართალში არ იქმნენ მიცემულნი.

4) ვბრძანებთ აგრეთვე დავიწყებულ იქმნას საქმენი იმ დანაშაულებათა შესახებ, რომელიც აღნიშნულია სასჯლ. დებულ· მე-246—248 მუხ. და დღევანდლამდე გამოუმჟღავნებელია ისინი, რომელთაც ამა დანაშაულის ბრალი ედებათ, ანუ იხდიან კიდეც სასჯელს, განთავისუფლებულ იქმნენ პასუხის-გებისა და სასჯელისაგან, და წოდებრივ უფლებათა ახდას მისჯილთ, იმ კანონიერ შვილებთან ერთად, რომელნიც დაბადებულნი არიან იმას შემდეგ, როცა განაჩენი წაუკითხეს იმათს მშობლებს, მიენიჭოთ ყოველი კერძო და წოდებრივი უფლება, რაც კი სასჯელის დადებამდე ეკუთვნოდათ, მხოლოდ ქონებრივს უფლებას გარდა-კი.

5) ნებასა ვრთავთ შინაგან საქმეთა მინისტრს წარმოგვიდგინოს შუამდგომელობა იმათი, რომელთაც თავისის ნებით დაუნებებიათ თავი სამშობლოსათვის, სახელმწიფოდგან გასულან მათ მიერ ჩადენილ სახელმწიფო დანაშაულისა გამო, ის ბოროტ-მოქმედებანი არა ჰბრალდებათ, რომელიც სასჯელ. დე' ულ· მე-241 მუხ. ისჯება, და სურვილი-კი აქვთ თავისს მიწა-წყალში დაბრუნებისა და ტახტისა და სამშობლოს ერთგულებით უწინდელ დანაშაულის გამოსყიდვისა.

6) ყველა ისინი, რომელნიც სასჯელს იხდიან პოლონეთის 1863 წ. ამბოხებაში მონაწილეობის მიღებისათვის, ვუბრძანებთ განათავისუფლონ პოლიციის მეთვალყურეობისაგან, ნება ძიეცეთ ყველგან ცხოვრებისა, ხოლო შინაგან საქმეთა მინისტრისაგან იქნება დამოკიდებული განსაკუთრებულ მოსაზრებით ამ მხრივ განკერძოებული წესი დაადგინოს იმპერიის ამა თუ იმ ადგილისათვის,

7) იმათ, რომელთაც ამა მე-XI მუხლის მე-6 პუნქტში აღნიშნული წყალობა ენიჭებათ და რომელთაც უმაღლესის განსაკუთრებულის ბრძანებით ჯერ კიდევ არა აქვთ დაბრუნებული სასჯელ-დადებამდე მათდა კუთვნილი უფლებანი, — ვუბრძანებთ აღდგენილ ექმნათ იმ მათ კანონიერ შვილებთან ერთად, რომელნიც სასჯელ-დადების შემდეგ დაბადებულან, უწინდელნი უფლებანი შთამომავლობისა, ხოლო ქონებრივ უფლებათა აღუდგენლად და აგრეთვე ხარისხისა, ორდენებისა, წარჩინების ნიშნებისა და სამსახურით მოპოვებულ უფლებათა დაუბრუნებლად.

XII. ის გამოძიების ქვეშე მყოფნი და სამართალში მიცემულნი, რომელნიც ამა მანიფესტის ძალით სასამართლოსა და სასჯელისაგან განთავისუფლებულ უნდა იქმნენ, ხოლო დარწმუნებულნი არიან თავისს სიმართლეს და მოისურვებენ სასამართლოს წინაშე თავის გამართლებას, შეუძლიანთ, ამა მანიფესტის იმათ საცხოვრებელ ადგილას გამოქვეყნებიდგან ექვსის თვის განმავლობაში, ითხოვონ, რომ განგრძობილ ანუ აღდგენილ იქმნას მათ შესახებ გამოძიება და განსამართლება. ამასთანავე იმათ, რომელთაც დღევანდლამდე ჩაუდენიათ დანაშაული, სასჯელი უმცირდებათ ამა მანიფესტის ძალით და არ მოისურვებენ ამ შეღავათით სარგებლობას, შეუძლიანთ, ერთის თვის განმავლობაში იმათ საქმის შესახებ დადგენილ განაჩენის შემდეგ, მოითხოვონ, რომ იმათი საქმე დაბოლოვებული იქმნას კანონის მიერ დადგენილ წესით. როგორც პირველთ, ისე მეორეთ, თუ ვინიცობაა დამნაშავედ იქმნენ ცნობილნი, ვეღარ ეპატიებათ დანაშაული ამა მანიფესტის ძალით.

XIII. ის ფული, რომელიც დღევანდელ დღემდე უკვე შეტანილია ამა მანიფესტში მოხსენებულ ყოველ ბეგარისა და გარდასახადის შესავსებლად, ამა მანიფესტის I მუხლის 1—4 და 7 პუნქტებში მოხსენებულთა გარდა, და აგრეთვე ის ფული, რომელიც მთავრობის სხვა-და-სხვა დაწესებულებათა განკარგულებაში იმყოფება ზემოხსენებულ ბეგარისა და გარდასახადის შესავსებლად, აღარ დაუბრუნდებათ პატრონებს და არც სხვა ვალში ჩაეთვლებათ.

XIV. თუ ვინიცობაა ამა მანიფესტის მუხლების განხორციელების დროს ეჭვი დაიბადა რამე, მთავრობის ყველა დაწესებულებანი ვალდებულნი არიან საეჭვო ადგილების განსამარტებლად უმართებელესს სენატს მიჰმართონ, ხოლო თუ განმარტება საეჭვო ადგილისა სენატის უფლებას აღემატება, მან ჩვენი ნება-რთვა უნდა მოითხოვოს დადგენილის წესისამებრ.

XV. იმ შეღავათისა და შემსუბუქების შესახებ-კი, რომელიც უნდა მიენიჭოთ ჩვენთა ფინლიანდიის სამთავროს ქვეშევრდომთა, განსაკუთრებული დადგენილება იქმნება გამოცემული.

ბოძებულია ს.-პეტერბურგს, 14 დღესა ნოემბრისასა, წელსა ქრისტეს დაბადებითგან ათას რვაას ოთხმოცდა-თოთხმეტსა, ხოლო მეფობისა ჩვენისაგან პირველსა.

ნამდვილს მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია:

„ნ ი კ ო ლ ო ზ ი“

**მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის, სრულიად რუსეთის თვით მპყრობელის ბრძანება უმართებელესის სენატისაგან ბოძებული.**

მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ბრძანებით, უმართებელესმა სენატმა მოისმინა: სასჯულო საქმეთა მინისტრის, ტაინი სოვეტნიკის მურავევისა ამა 1894 წ. 14 ნოემბრის მე-21,952 №-ის წინადადება შემდეგის შინაარსისა: ხელმწიფე იმპე'ატორმა, იმყოფება რა მეფურსა ზრუნვასა შინა ყველა უწყების მოხელეთა შესახებ, რომელნიც რწმენითა და სიმართლით ემსახურებოდნენ ღვთის მიერ განსვენებულს მშობელსა მისის იმპერატორებითის უდიდებულესობისას და ეხლაც განაგრძობენ გულმოდგინე სამსახურსა მისის უდიდებულესობისასა და სამშობლოსას, — იმათ შრომისა და სამსახურის წასაქეზებლად, — 14 ამა ნოემბრის მინისტრთა კომიტეტის დადგენილებისა თანახმად, ყოვლად უმოწყალესად კეთილ-ინება და ჰბრძანა: 1) მინისტრებს და განსაკუთრებულ ნაწილთა მთავარმართებელთ ნება ეძლევათ გაამრავლონ იმათი რიცხვი, რომელნიც 1895 წელს ჯილდოზედ უნდა იქმნენ წარდგენილნი ჯილდოთა წესებით დადგენილ რაოდენობის ერთის ნახევარით. 2) ხსენებულ მოხსენებაში შეუძლიანთ დასაჯილდოვებლად წარმოადგინონ და კანონით დადგენილ საერთაშორისო ვადით არ შებრკოლდნენ, იმ პირობით-კი, რომ მათ მიერ უკანასკნელ ჯილდოს მიღებიდგან მათ-და დასაჯილდოვებლად წარმოდგენის დღემდე ორს წელიწადზედ ნაკლებს არ გაევლოს; შეღავათი ესე მიეცეთ 1898 წ. პირველ იანვრამდე; და 3) ამ შეღავათის გარდა, ყველა სხვა აწ მომქმედი წესი და პირობა ჯილდოზედ წარმოდგენისა რიგისამებრ და რიგს გარეშეც ძალაშივე იქმნება. მხოლოდ მინისტრებს და განსაკუთრებულ ნაწილთა მთავარ-მმართებელთ ნება ეძლევათ განკერძოებულსა და არა-ჩვეულებრივს შემთხვევაში, ამ თავითვე ითხოვენ რა მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ნება-რთვასა, ჯილდოზედ წარადგინონ, დადგენილის წესით, ისინი, რომელნიც სამსახურში განსაკუთრებულ წარჩინებასა და გულ-მოდგინებას გამოიჩენენ, და ამითი შეუძლიანთ გადასცდნენ ამა საგნის შესახებ აწ მომქმედ წესთა და დადგენილებათა.

# დეპეშა

(ჩრდილოეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 ნოემბერი.

**პეტერბურგი.** 25 ნოემბერს საერთო კრება შესდგება რუსეთის რკინის გზების წარმომადგენელთა, რომელმაც უნდა განიხილოს დასადებ ხელ-შეკრულობის 28 მუხლი.

გამოცხადებულია ახალი წესი რკინის გზის მოგზაურობისა და ბარგების გადატანისა, რომელიც ამა 1 დეკემბრიდგან უნდა იყოს შემოღებული.

**ლონდონი.** იაპონიის გაზეთების სიტყვით, იაპონიას განზრახვა აქვს სამძიმო პირობანი დაუდოს, თუ ომი გაგრძელდა. ამბობენ, რომ იაპონია ერთს დიდს ქვეყანას მიისაკუთრებსო, და თუ ეხლავე შეჩერდება, მაშინ იაპონია მარტო სამხედრო ხარჯის გარდასახადს 400 მილიონს იენს დასჯერდება, თუ ამასთან ის მიწა-წყალიც დაუთმო, რომელიც იმის ჯარს უჭირავსო.

# ახალი ამბავი

*** ამ თვის 26 დილიდგანვე ტფილისი უნდა დამშვენდეს სამ-ფერის ბაირაღებით, რადგანაც ამ დღეს პირველად დღესასწაულობენ მემკვიდრე ცესარევიჩის დიდის მთავრის გიორგი ალექსანდრეს ძის დღეობას. საქართველოს ეგზარხოსი ვლადიმირი სწირავს 1 გიმნაზიის ეკკლესიაში, სადაც გარდახდილ იქმნება აგრეთვე პარაკლისი. ამ დღეს სასამართლოები და სასწავლებლები დაკეტილი იქმნება. საღამოზედ ქალაქი გაჩირაღდნებული უნდა იყოს.

*** ქართულ სათეატრო ამხანაგობის დასის მიერ კვირას, 27 ნოემბერს იქმნება გამართული პირველი წარმოდგენა, და როგორც ჩვენს გაზეთში იყო ნათქვამი, წარმოადგენენ «პატარა კახს». მეორე წარმოდგენისათვის ამზადებენ «სევილიელ დალაქს».

*** გუშინ პეტერბურგიდგან დეპეშით აუწყეს ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობას, რომ ამ გზის უფროსად დამტკიცებულ იქმნა ინჟენერი ა. ნ. პუშეჩნიკოვი, ბ-ნ ფრიდეს ალაგასო.

*** დღეს, 24 ნოემბერს, ტფილისში მოელიან ინჟენერს ფრიდეს, რომელმაც ამიერ-კავკასიის რკინის გზა უნდა ჩააბაროს ინჟენერს პუშეჩნიკოვს.

*** გასულ თვეში ქალაქის სასაბოში დაუკლავთ სულ 2600 ღორი, რომელთაგან მარტო 8 ღორი აღმოჩენილა ღორთველით (трихина) დასნეულებული,

პეტერბურგის ბირჟა, 22 ნოემბერი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,36 | 7,39 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 147 | 147¾ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 245 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 220 |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | 189½ | — ,, | — , |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | — ,, | — , | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6%. | — ,, | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |


# განცხადებანი

კბილის ექიმი

**ვ. ი. ჭიჭინაძე**

(მიხეილის ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79)

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდგან, ნაშუადღევის 2 საათამდის და საღამოს 4—6 საათამდის.

რთულის ოპერაციის დროს დაესწრება ექიმი ი. ს. ელიაშვილი.

(50—6.—38)

# ცხოვრება

შვიდთა ყრმათა ეფესელთა

თარგმნილი მ. შარაძის მიერ

გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბის

ფასი ერთი შაური

ისყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.

ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.

სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.

ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.

თელავში. ი. იმერლიშვილთან.

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

**ე. მ. ჩიქოანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10—11 საათსნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ი. ფ. ზრატასევიჩი**,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი**. 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

**ა. შ. კარაპეტიანცი**, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7½ საათამდის.

**ე. ი. ფრანცუზი**, 7—7½ საათსნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერისფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

(857—1468)

„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 4 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |